

ურთიერთგაგების მემორანდუმი

საქართველოს მთავრობას,

შპს „ჰიდროლექს“

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“,

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“,

სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოსა“

და

შპს „ენერგოტრანსს“

შორის

თარიღი: 21 ოქტომბერი, 2016 წ.  
თბილისი, საქართველო



წარმოდგენილი ურთიერთგაგების მემორანდუმი (შემდგომში - „მემორანდუმი“) დადებულია შემდეგ მხარეებს შორის:

- (1) საქართველოს მთავრობა (შემდგომში - „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის ილია ელოშვილის მიერ;
- (2) შპს „ჰიდროლეა“ (შემდგომში - „კომპანია“), ს/კ: 406073029 წარმოდგენილი დირექტორის რადოსლავ ცვეტანოვ დუდოლენსკი (ბულგარეთის მოქალაქე, დაბადების თარიღი: 1976 წლის 5 ივლისი; პასპორტის ნომერი: P BGR 382462942, პ/ნ 7607059303) მიერ;
- (3) სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში - „ესკო“), ს/კ: 205170036, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, ვახტანგ ამბოკაძის მიერ.
- (4) სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში - „სსე“), ს/კ: 204995176, წარმოდგენილი რეაბილიტაციის მმართველის/მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის, სულხან ზუმბურიძის მიერ;
- (5) სს „გაერთიანებული ენერჯეტიკული სისტემა საქრუსენერგო“ (შემდგომში - „საქრუსენერგო“), ს/კ: 211324468, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, რომეო მიქაუტაძის მიერ;
- (6) შპს „ენერგოტრანსი“ (შემდგომში - „ენერგოტრანსი“) ს/კ: 204991786, წარმოდგენილი დირექტორის, კახა სეხნიაშვილის მიერ;

მხარეები დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

#### განმარტებები

1. წინამდებარე მემორანდუმში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
  - 1.1. „აუდიტორული დასკვნა“ ნიშნავს მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ ნუსხაში შემავალი აუდიტორის/აუდიტორული კომპანიის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემულ მარწმუნებელი ხასიათის დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს დადასტურებული საინვესტიციო ხარჯის ოდენობას.
  - 1.2. „გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულება“ ნიშნავს, ელექტროენერჯის ექსპორტის მიზნით, ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის ელექტროგადამცემი ქსელის მეშვეობით გადაცემის უზრუნველსაყოფად კომპანიას, „სსე“, „საქრუსენერგოსა“ და „ენერგოტრანსს“ შორის დადებულ ხელშეკრულებას.



- 1.3. „დადასტურებული საინვესტიციო დანახარჯი“ ნიშნავს ელექტროსადგურის მშენებლობისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღების მიზნით კომპანიის მიერ გაწეულ სრულ დანახარჯებს (რომელთა გაწევაც, ასევე, ამ დანახარჯების გაწევის გონივრულობა და მიზნობრიობა დასტურდება აუდიტორული დასკვნის საფუძველზე), მემორანდუმის მე-10 და მე-11 მუხლის მიზნებისთვის;
- 1.4. „დღე/დღეები“ ნიშნავს კალენდარულ დღეებს.
- 1.5. „ელექტროსადგური“ ნიშნავს მემორანდუმის დანართ N1-ში მითითებულ ჰიდროელექტროსადგურს.
- 1.6. „ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება“ ნიშნავს პირდაპირ ხელშეკრულებას, რომელიც მემორანდუმის შესაბამისად იდება კომპანიასა და „ესკოს“ შორის.
- 1.7. „ელექტროგადამცემი ქსელი“ ნიშნავს ელექტროგადამცემ ხაზებსა და ქვესადგურებს (მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე „ახალციხე-ბორჩხა“-ს ელექტროგადამცემ ხაზსა და 500/400/220 კვ. ქვესადგურ „ახალციხეს“), რომლებიც საჭიროა ელექტროენერჯის თურქეთის რესპუბლიკის საზღვრამდე გადაცემისათვის და რომელთაც ფლობს „სსე“, „ენერგოტრანსი“ ან/და „საქრუსენერგო“.
- 1.8. „ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრები“ ნიშნავს ელექტროსადგურის ადგილმდებარეობას, მდინარის ნიშნულებს, დადგმულ სიმძლავრეს და წლიურ გამომუშავებას, როგორც მოცემულია მემორანდუმის დანართ N1-ში.
- 1.9. „ზამთრის თვეები“ ნიშნავს შემდეგ თვეებს: იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი.
- 1.10. „ზაფხულის თვეები“ ნიშნავს შემდეგ თვეებს: მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო.
- 1.11. „მიიღე ან გადაიხადე პრინციპი“ გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულების შესაბამისად ნიშნავს პრინციპს, რომლის თანახმადაც:
  - (ა) იმ შემთხვევაში, თუ „სსე“, „საქრუსენერგო“ და „ენერგოტრანსი“ ერთობლივად ან ცალ-ცალკე, საკუთარი ბრალით კომპანიას ვერ უზრუნველყოფენ მემორანდუმის მე-13 მუხლში მითითებული მომსახურებით, დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებითა და შემთხვევებში, აუნაზღაუროს კომპანიას ამის შედეგად მიუღებელი შემოსავალი; და
  - (ბ) კომპანია ვალდებულია „სსე“-ს, „საქრუსენერგო“-სა და „ენერგოტრანსს“ გადაუხადოს მემორანდუმის მე-13 მუხლში მითითებული მომსახურებისათვის განსაზღვრული თანხა, იმ შემთხვევაშიც, თუ კომპანია გამოიყენებს წინასწარ შეთანხმებულზე ნაკლები მოცულობის მომსახურებას, გარდა გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.
- 1.12. „მხარეები“ ნიშნავს მთავრობას, კომპანიას, „სსეს“, „საქრუსენერგოს“, „ენერგოტრანსსა“ და „ესკოს“ ერთობლივად;



- 1.13. „პროექტი“ ნიშნავს ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანალიზის მომზადებას და ელექტროსადგურის მშენებლობას, ფლობასა და ოპერირებას.
- 1.14. „საინვესტიციო ხარჯი“ ნიშნავს მემორანდუმის დადებიდან მემორანდუმის შეწყვეტამდე პროექტის განხორციელების მიზნით გაწეულ ხარჯს, მათ შორის, მშენებლობის ხარჯებს, საექსპლუატაციო ხარჯებსა და პროექტის ფარგლებში გაწეულ სხვა ხარჯებს, რომელიც უნდა იყოს აუდიტირებული და შესაბამისი დოკუმენტაციით დადასტურებული, მემორანდუმის 20.4 პუნქტის მიზნებისთვის.
- 1.15. „სამინისტრო“ ნიშნავს საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს.
- 1.16. „სამშენებლო გარანტია“ ნიშნავს სამშენებლო ფაზის ფარგლებში, კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიის მიერ მთავრობის სასარგებლოდ წარმოდგენილ საბანკო გარანტიას;
- 1.17. „სამშენებლო ფაზა“ ნიშნავს დროის პერიოდს, რომელიც აითვლება წინასამშენებლო ფაზის დასრულების მომენტიდან გრძელდება ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში ფაქტობრივი მიღების ვადის ჩათვლით, მაგრამ არაუგვიანეს მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული ექსპლუატაციაში მიღების ვადისა;
- 1.18. „საწყისი ექსპლუატაციის პერიოდი“ ნიშნავს მემორანდუმის დანართი N5 ან N6-ით გათვალისწინებული შეთანხმებების დადების თარიღიდან 10 წლიან პერიოდს;
- 1.19. „სახელმწიფო“ ნიშნავს საქართველოს.
- 1.20. „ფინანსური მოდელი“ ნიშნავს მემორანდუმის დანართი N4-ით განსაზღვრულ ფინანსურ მაჩვენებლებს, რომელიც მოცემულია ელექტრონული (კომპაქტური დისკის) ფორმით, მათ შორის, კომპანიის მიერ პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ინვესტიციის ოდენობას;
- 1.21. „ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შესახებ ანგარიში“ ნიშნავს კომპანიის მიერ მოსამზადებელ კვლევას/ანგარიშს, რომელიც უნდა შეიცავდეს მემორანდუმის დანართ N2-ით განსაზღვრულ დოკუმენტებს და რომელიც უნდა ადასტურებდეს პროექტის განხორციელების ტექნიკურ, ეკონომიკურ, ფინანსურ და იურიდიულ მიზანშეწონილობას.
- 1.22. „წინასამშენებლო ფაზა“ ნიშნავს დროის პერიოდს მემორანდუმის ძალაში შესვლიდან სამშენებლო ფაზის დაწყებამდე, რა პერიოდშიც კომპანია ვალდებულია განახორციელოს წინასამშენებლო საქმიანობა, მაგრამ არაუმეტეს მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული წინასამშენებლო ფაზის ვადისა.

## II - მიზანი

2. მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს კომპანიის მიერ პროექტის განხორციელება საქართველოს კანონმდებლობისა და ამ მემორანდუმით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.


### III - წინასამშენებლო ფაზა

3. კომპანია წინამდებარე მემორანდუმის ხელმოწერიდან 24 (ოცდაოთხი) თვის ვადაში, მემორანდუმის დანართ N1 და N2-ში განსაზღვრული ვადებისა და პირობების შესაბამისად, ვალდებულია:
  - 3.1. განსაზღვროს პროექტისათვის საჭირო ან/და მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთები და მათი ადგილმდებარეობა;
  - 3.2. ჩაატაროს და დაასრულოს სრული ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევა მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრულ ვადებში (მემორანდუმით განსაზღვრული ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში) და წარუდგინოს ის სამინისტროს;
  - 3.3. დაასრულოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და წარუდგინოს ის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და სამინისტროს;
  - 3.4. ჩაატაროს საჯარო განხილვები და წარუდგინოს შედეგები საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და სამინისტროს.
  - 3.5. სამინისტროს წარუდგინოს წინადადება ელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე მემორანდუმით განსაზღვრული ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში.
4. კომპანია მემორანდუმის მე-3 მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შედეგად მთავრობას უნდა წარუდგინოს წინადადება მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრულ ვადაში, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგს:
  - 4.1. სრულ ტექნიკურ პარამეტრებს, ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრისა და საპროგნოზო წლიური გამომუშავების ჩათვლით;
  - 4.2. ელექტროსადგურის განლაგების ზუსტ კოორდინატებსა და მდინარის ნიშნულებს;
  - 4.3. პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ინვესტიციის სავარაუდო ოდენობას;
  - 4.4. სრულ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის შედეგებს;
  - 4.5. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს (საჯარო განხილვების შედეგებით).

### IV - სამშენებლო ფაზა

5. კომპანია სამშენებლო ფაზის განმავლობაში ვალდებულია:
  - 5.1. მოიპოვოს პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ან/და პროექტის არეალში მოქცეულ მიწებზე შესაბამისი უფლებები;
  - 5.2. მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრულ ვადაში, მოიპოვოს და მთავრობას წარუდგინოს შესაბამისი მშენებლობის ნებართვა;
  - 5.3. მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრულ ვადაში, მშენებლობის ნებართვის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დაიწყოს ელექტროსადგურის მშენებლობა;

- 5.4. ააშენოს ელექტროსადგური ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში და უზრუნველყოს მისი ექსპლუატაციაში მიღება მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრულ ვადაში;
  - 5.5. უზრუნველყოს პროექტის ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო ფულადი სახსრების მოზიდვა;
  - 5.6. უზრუნველყოს მშენებლობა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უსაფრთხოების, გარემოსდაცვითი და სხვა მოთხოვნების შესაბამისად;
  - 5.7. საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის, სამინისტროს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ან/და სხვა ნებისმიერი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს სრული და თავისუფალი წვდომა ელექტროსადგურის სამშენებლო პროცესის მონიტორინგის მიზნით;
  - 5.8. უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს სამშენებლო მასალების ხარისხისა და უსაფრთხოების მონიტორინგი.
6. სამშენებლო გარანტია
- 6.1. მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე ელექტროსადგურის მშენებლობის დაწყების და ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველსაყოფად, სამშენებლო ფაზის დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში კომპანია ვალდებულია მთავრობის სასარგებლოდ წარმოადგინოს სამშენებლო გარანტია დადგმული სიმძლავრის მიხედვით, 100 მეგავატი სიმძლავრის ჩათვლით - ყოველი მეგავატისათვის 100,000.00 (ასი ათასი), ხოლო 100 მეგავატზე მეტი სიმძლავრის შემთხვევაში - ყოველი მეგავატისათვის 50,000.00 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ან ევროში მისი ექვივალენტის ოდენობით. კომპანიის მიერ წარმოდგენილი სამშენებლო გარანტია ძალაში რჩება მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების დღიდან 5 თვის განმავლობაში. კომპანიის მიერ წარმოდგენილი სამშენებლო გარანტია უნდა იყოს გაცემული სახელმწიფოს მიერ ლიცენზირებული ბანკის ან „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ („OECD“) წევრი ქვეყნის ბანკის მიერ.
  - 6.2. კომპანიის მიერ მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული სამშენებლო სამუშაოების დაწყების ვადის დარღვევა გამოიწვევს კომპანიისთვის ჯარიმის დაკისრებას სამშენებლო გარანტიის 1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამავდროულად, კომპანია ვალდებულია დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს სამინისტროს შესაბამისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში.
  - 6.3. კომპანიის მიერ მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული ექსპლუატაციაში მიღების ვადის დარღვევა გამოიწვევს კომპანიისთვის ჯარიმის დაკისრებას სამშენებლო გარანტიის 1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამავდროულად, კომპანია ვალდებულია დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს სამინისტროს შესაბამისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში.



- 6.4. მთავრობა უფლებამოსილია სამშენებლო გარანტიით გათვალისწინებული თანხა გამოითხოვოს სრულად ან ნაწილობრივ შემდეგ შემთხვევებში:
- ა) კომპანიამ შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში არ გადაიხადა მემორანდუმის 6.2. ან/და 6.3 პუნქტების შესაბამისად დაკისრებული ჯარიმა - გადაუხდელი ჯარიმის ოდენობით;
  - ბ) მთავრობა 16.2-16.6 პუნქტების შესაბამისად წყვეტს მემორანდუმს - არსებული სამშენებლო გარანტიის სრული ოდენობით.

#### IV - ელექტროენერჯის რეალიზაციის ზოგადი პირობები

7. საქართველოს ელექტრომომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან 10 (ათი) წლის განმავლობაში, ყოველი წლის ზამთრის თვეებში, ელექტროსადგურის მიერ ფაქტობრივად გამომუშავებული ელექტროენერჯის რეალიზაცია სრულად უნდა განხორციელდეს საქართველოს ადგილობრივ ბაზარზე.
8. საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის ყოველი კალენდარული წლის ზაფხულის თვეებში, კომპანია უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, განახორციელოს გამომუშავებული ელექტროენერჯის რეალიზაცია საქართველოს ადგილობრივ ბაზარზე ან/და განახორციელოს ექსპორტი ნებისმიერი მიმართულებით, საქართველოს კანონმდებლობისა და მემორანდუმში მითითებული პირობების შესაბამისად.
9. საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის ყოველი წლის ზამთრის თვეებში, ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის რეალიზაცია უნდა განხორციელდეს ექსკლუზიურად „ესკოზე“ ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად, მიღების პუნქტში ტარიფით 6 აშშ ცენტი - 1 კვტ.სთ. კომპანიამ და „ესკომ“ მემორანდუმის პირობების შესაბამისად ხელი უნდა მოაწერონ ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებას.
10. იმ შემთხვევაში, თუ ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ, აუდიტორული დასკვნის თანახმად დადგენილი დადასტურებული საინვესტიციო ხარჯის ოდენობის სამინისტროს მიერ ფინანსურ მოდელში ასახვის შედეგად მიღებული ტარიფის ოდენობა იქნება მემორანდუმის მე-9 მუხლში მითითებული ტარიფის ოდენობის ტოლი ან მეტი (იმ პირობით, რომ ფინანსურ მოდელში დაფიქსირებული პროექტის ინვესტიციაზე უკუგების კოეფიციენტი („Project Internal Rate of Return“) დარჩება უცვლელი), საწყისი ექსპლუატაციის პერიოდში მემორანდუმის მე-9 მუხლში მითითებული ტარიფი დარჩება უცვლელი. ასეთ შემთხვევაში კომპანიის მიერ აუდიტორული დასკვნის სამინისტროსთვის წარდგენიდან 60 (სამოცი) დღის ვადაში მთავრობა, „ესკო“ და კომპანია ხელს მოაწერენ ამ მემორანდუმის დანართი N5-ით მოცემულ შეთანხმებას ტარიფის უცვლელად დატოვების შესახებ, მემორანდუმის მე-9 მუხლით განსაზღვრული ტარიფის მითითებით.

11. იმ შემთხვევაში, თუ ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ, აუდიტორული დასკვნის თანახმად დადგენილი დადასტურებული საინვესტიციო ხარჯის ოდენობის სამინისტროს მიერ ფინანსურ მოდელში ასახვის შედეგად მიღებული ტარიფის ოდენობა იქნება მემორანდუმის მე-9 მუხლში მითითებული ტარიფის ოდენობაზე ნაკლები (იმ პირობით, რომ ფინანსურ მოდელში დაფიქსირებული პროექტის ინვესტიციაზე უკუგების კოეფიციენტი („Project Internal Rate of Return“) დარჩება უცვლელი), „ესკოსთვის“ მისაყიდი ელექტროენერჯის ტარიფი შემცირდება და საწყისი ექსპლუატაციის პერიოდში განისაზღვრება ფინანსურ მოდელში დადასტურებული საინვესტიციო ხარჯის ასახვის შედეგად მიღებული ოდენობით. ასეთ შემთხვევაში:
  - 11.1. კომპანიის მიერ აუდიტორული დასკვნის სამინისტროსთვის წარდგენიდან 60 (სამოცი) დღის ვადაში მთავრობა, „ესკო“ და კომპანია ხელს მოაწერენ ამ მემორანდუმის დანართი N6-ით მოცემულ შეთანხმებას ტარიფის შემცირების შესახებ, შემცირებული ტარიფის მითითებით; და
  - 11.2. მხარეებს შორის დანართი N6-ით მოცემული შეთანხმების დადების შემდგომ, ელექტროენერჯის ტარიფის შემცირების შესახებ შესაბამისი ცვლილება განხორციელდება „ესკოსა“ და კომპანიას შორის გაფორმებული ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებაში.
12. საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის გარდა, კომპანია უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, განახორციელოს გამომუშავებული ელექტროენერჯის რეალიზაცია საქართველოს ადგილობრივ ბაზარზე, მათ შორის, „ესკოზე“ ან/და განახორციელოს ექსპორტი ნებისმიერი მიმართულებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
13. ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან 10 (ათი) წლის განმავლობაში, ყოველი კალენდარული წლის ზაფხულის თვეებში, ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის ექსპორტის მიზნით, „სსე“, „საქრუსენერგო“ და „ენერგოტრანსი“ ვალდებულია, უზრუნველყონ კომპანია საჭირო დისპეტჩერიზაციისა და გადაცემის მომსახურებით. ამასთან, ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის თურქეთის რესპუბლიკის საზღვრამდე გადაცემის მიზნით, „ენერგოტრანსი“ ვალდებულია, დამატებით უზრუნველყოს კომპანია გამტარუნარიანობის საჭირო მოცულობით „ახალციხე-ბორჯხას“ ელექტროგადამცემი ხაზის მის კუთვნილ ნაწილზე, ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან 10 (ათი) წლის განმავლობაში, ყოველი კალენდარული წლის ზაფხულის თვეებში დროის იმ მონაკვეთებისათვის, რომლის განმავლობაშიც „ახალციხე-ბორჯხას“ ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით გადასაცემი ელექტროენერჯის სიმძლავრის საერთო მოცულობა (სხვა საექსპორტო მოცულობებთან ჯამში) საკმარისი იქნება 500/400/220 კვ. ქვესადგური „ახალციხის“ ტექნიკური პარამეტრებით გათვალისწინებულ დასაშვებ ფარგლებში ფუნქციონირებისთვის. „სსე“, „საქრუსენერგო“ და „ენერგოტრანსი“ მემორანდუმის ამ მუხლით გათვალისწინებულ მომსახურებას უზრუნველყოფენ საქართველოს კანონმდებლობისა და კომპანიასთან მიიღე ან გადაიხადე პრინციპის საფუძველზე გაფორმებული გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.





## V - მხარეთა ვალდებულებები


14. პროექტის განხორციელების მიზნით, წინამდებარე მემორანდუმისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია ვალდებულია:
  - 14.1. უზრუნველყოს პროექტის განხორციელება;
  - 14.2. შეინარჩუნოს ელექტროსადგური ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში;
  - 14.3. უზრუნველყოს, რომ პროექტის განხორციელების პერიოდში, პროექტზე დასაქმებულთა სულ მცირე 80% (მენეჯმენტის და ექსპერტების გარდა) იყოს საქართველოს მოქალაქე;
  - 14.4. მემორანდუმის მე-10 და მე-11 მუხლების მიზნებისათვის, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს აუდიტორული დასკვნის მომზადება და სამინისტროსთვის წარდგენა არაუგვიანეს ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან 3 (სამი) თვის ვადაში.
15. პროექტის განხორციელების მიზნით, წინამდებარე მემორანდუმის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებულია:
  - 15.1. მაქსიმალურად დაეხმაროს კომპანიას პროექტის განხორციელების პროცესში, მათ შორის, შესაბამისი დახმარება გაუწიოს საჭირო ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემასთან დაკავშირებით, იმ პირობით, რომ კომპანია სრულად დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ მემორანდუმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
  - 15.2. უზრუნველყოს პროექტის განხორციელებისთვის საჭირო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების კომპანიისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გადაცემა, იმ პირობით, რომ კომპანია სრულად დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ მემორანდუმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
  - 15.3. ხელი მოაწეროს მემორანდუმის დანართ N5-ში ან N6-ში მოცემულ შეთანხმებას იმ პირობით, რომ კომპანია სრულად დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობისა და მემორანდუმის მოთხოვნებს.

## VI - მემორანდუმის შეწყვეტა

16. მთავრობა უფლებამოსილია ცალმხრივად, კომპანიისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს მემორანდუმი შემდეგ შემთხვევებში, თუ:
  - 16.1. კომპანია ვერ ასრულებს მემორანდუმის 6.1. პუნქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას;



- 16.2. კომპანია ვერ ასრულებს მემორანდუმით ნაკისრ ვალდებულებებს და ეს დარღვევა გაგრძელდება ჯამურად 60 (სამოცი) დღეზე მეტი ვადით;
- 16.3. მემორანდუმის 6.2 პუნქტის შესაბამისად დაკისრებული ჯარიმის ოდენობა მიაღწევს თავდაპირველად წარმოდგენილი სამშენებლო გარანტიის ოდენობის 50%-ს ან მეტს;
- 16.4. მემორანდუმის 6.3 პუნქტის შესაბამისად დაკისრებული ჯარიმის ოდენობა მიაღწევს თავდაპირველად წარმოდგენილი სამშენებლო გარანტიის ოდენობის 50%-ს ან მეტს;
- 16.5. კომპანიამ უარი თქვა პროექტის განხორციელებაზე;
- 16.6. კომპანიის მიერ მოწოდებული ან/და მთავრობის მიერ მოპოვებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის საფუძველზე, ცნობილი გახდა, რომ მემორანდუმით აღებული ვალდებულებების შესასრულებლად აუცილებელი ქმედებები კომპანიის მიერ არ განხორციელებულა და აღნიშნული გრძელდება 60 (სამოცი) დღეზე მეტი ვადით;
- 16.7. ფორს-მაჟორული გარემოება გაგრძელდება 180 (ას ოთხმოც) დღეზე მეტი ვადით.
17. იმ შემთხვევაში თუ კომპანიამ მემორანდუმის 14.4 პუნქტით დადგენილ ვადაში არ წარმოადგინა აუდიტორული დასკვნა ან მემორანდუმის მე-10 ან მე-11 მუხლებით დადგენილ ვადაში კომპანიის ბრალით ან/და კომპანიის მიერ ხელი არ მოეწერა, დანართი N5 ან N6-ით გათვალისწინებულ შეთანხმებას:
  - 17.1. მთავრობა კომპანიას ამ უკანასკნელის მიერ მოთხოვნიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში დაუბრუნებს სამშენებლო გარანტიას (გარანტიის დაბრუნების მომენტისათვის არსებული ოდენობით);
  - 17.2. კომპანიას შეუნარჩუნდება ელექტროსადგურის ფლობისა და ოპერირების უფლება;
  - 17.3. მემორანდუმის მე-9 და მე-13 მუხლები, გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულება და ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება ავტომატურად შეწყვეტს მოქმედებას.
18. მთავრობის მიერ მემორანდუმის შეწყვეტა გამოიწვევს შემდეგს:
  - 18.1. კომპანიას მემორანდუმის შეწყვეტისთანავე ჩამოერთმევა პროექტის განხორციელების უფლება;
  - 18.2. კომპანიის ხელთ არსებულ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევისა და შესაბამის გარემოზე ზემოქმედების შესახებ ანგარიშებზე, ისევე, როგორც პროექტთან დაკავშირებულ, მათ შორის, კომპანიის მიერ შემუშავებულ, სხვა ნებისმიერ დოკუმენტსა და ნახაზზე ექსკლუზიური საკუთრების უფლება უსასყიდლოდ გადაეცემა მთავრობას, მემორანდუმის შეწყვეტიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში;
  - 18.3. სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცემა შესაბამისი უფლებები (მათ შორის, საკუთრების უფლება) პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ან/და მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც გადაცემის



მომენტისთვის უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო, მემორანდუმის შეწყვეტიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში;

- 18.4. წინამდებარე მემორანდუმის 16.7 პუნქტის შესაბამისად შეწყვეტის შემთხვევაში, მთავრობამ კომპანიას უნდა დაუბრუნოს კომპანიის მიერ მთავრობისთვის წარდგენილი სამშენებლო გარანტია (გარანტიის დაბრუნების მომენტისათვის არსებული ოდენობით) კომპანიის მიერ მემორანდუმის 18.2-18.3 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ.
19. კომპანია უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს მემორანდუმი მთავრობისთვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, შემდეგ შემთხვევებში, თუ:
  - 19.1. მთავრობა არსებითად დაარღვევს მემორანდუმით ნაკისრ ვალდებულებებს. ამ შემთხვევაში კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს მთავრობისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნა მემორანდუმის შეწყვეტამდე 90 (ოთხმოცდაათი) დღით ადრე;
  - 19.2. ფორს-მაჟორი გრძელდება 180 (ას ოთხმოცი) დღეზე მეტი ვადით.
20. კომპანიის მიერ მემორანდუმის შეწყვეტა გამოიწვევს შემდეგს:
  - 20.1. კომპანიას მემორანდუმის შეწყვეტისთანავე ჩამოერთმევა პროექტის განხორციელების უფლება;
  - 20.2. კომპანიის ხელთ არსებულ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევისა და შესაბამის გარემოზე ზემოქმედების შესახებ ანგარიშებზე, ისევე, როგორც პროექტთან დაკავშირებულ, მათ შორის, კომპანიის მიერ შემუშავებულ, სხვა ნებისმიერ დოკუმენტსა და ნახაზზე ექსკლუზიური საკუთრების უფლება უსასყიდლოდ გადაეცემა მთავრობას, მემორანდუმის შეწყვეტიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში;
  - 20.3. სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცემა შესაბამისი უფლებები (მათ შორის, საკუთრების უფლება) პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ან/და მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც გადაცემის მომენტისთვის უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო, მემორანდუმის შეწყვეტიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში;
  - 20.4. წინამდებარე მემორანდუმის 19.1 პუნქტის შესაბამისად შეწყვეტის შემთხვევაში, კომპანია უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს საინვესტიციო ხარჯი კომპანიის მიერ მემორანდუმის 20.2-20.3 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ;
  - 20.5. წინამდებარე მემორანდუმის მე-19 მუხლის შესაბამისად შეწყვეტის შემთხვევაში, მთავრობამ კომპანიას უნდა დაუბრუნოს კომპანიის მიერ მთავრობისთვის წარდგენილი სამშენებლო გარანტია (გარანტიის დაბრუნების მომენტისათვის არსებული ოდენობით) კომპანიის მიერ მემორანდუმის 20.1-20.3 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ.
21. მემორანდუმი შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.



22. ამ მემორანდუმის მე-16, მე-19 და 21-ე მუხლების შესაბამისად შეწყვეტა იწვევს მემორანდუმის ყველა მხარისათვის მის შეწყვეტასა და შესაბამისად - ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებისა და გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულების შეწყვეტას.
23. ყოველგვარი ექვის თავიდან აცილების მიზნით, ამ მემორანდუმის ფარგლებში საინვესტიციო ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება კომპანიას აქვს მხოლოდ მემორანდუმის 19.1 პუნქტის შესაბამისად შეწყვეტის შემთხვევაში.


#### VII - მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავის გადაწყვეტა

24. მემორანდუმი დადებულია, რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
25. ყველა დავა, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე მემორანდუმიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით, გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

#### VIII - ფორს-მაჟორი

26. ფორს-მაჟორი ნიშნავს ნებისმიერ მოვლენას, რომელიც რომელიმე მხარის გონივრული კონტროლის მიღმაა და მისი წარმოქმნის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი იყო მემორანდუმის დადების მომენტისათვის, მათ შორის: ომი, რევოლუცია, ამბოხი, აჯანყება, შეიარაღებული კონფლიქტი, ტერორისტული აქტი, საბოტაჟი, სამოქალაქო არეულობა, რადიაცია, ბიოლოგიური ან ქიმიური დაბინძურება, იონიზებული რადიაცია, აფეთქება, ხანძარი, ეპიდემია, ციკლონი, მეწყერი, მიწისძვრა, წყალდიდობა, ვულკანის ამოფრქვევა, სხვა სტიქიური უბედურება ან მსგავსი მოვლენა.
27. იმ შემთხვევაში, თუ ფორს-მაჟორული გარემოება ხელს შეუშლის მემორანდუმით გათვალისწინებულ რომელიმე მხარეს საკუთარი ვალდებულების ან/და უფლებამოსილების შესრულებაში, აღნიშნული დარღვევა ჩაითვლება საპატიოდ და სხვა მხარეს არ ექნება უფლება შეწყვიტოს მემორანდუმი ამ საფუძველით, თუ ამ მემორანდუმით ან/და კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
28. მხარე, რომლისთვისაც მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეუძლებელი ხდება ფორს-მაჟორული გარემოების გამო, ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ სხვა მხარეებს.

#### IX - დასკვნითი დებულებები



29. წინამდებარე მემორანდუმის ცალკეული დებულება შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
30. იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადების შედეგად, შეიცვალა ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრები, კომპანიის მოთხოვნის საფუძველზე, მთავრობა განიხილავს მემორანდუმში ცვლილებების შეტანის საკითხს.
31. იმ შემთხვევაში, თუ მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ან/და პროექტის განხორციელების პროცესში კომპანია შეფერხდება მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (მათ შორის, პროექტის განხორციელებისათვის საჭირო კერძო საკუთრებაში არსებული ან დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებისგან/მოსარგებლეებისგან სათანადო უფლებების გაფორმების ან გადმოცემის, მიწის ნაკვეთების გამოსყიდვის გამო), კომპანიის მოთხოვნის საფუძველზე, მთავრობა განიხილავს მემორანდუმით გათვალისწინებული ვადების შესაბამისი პერიოდით გადაწევის ან/და მემორანდუმში სხვაგვარი ცვლილებების შეტანის საკითხს.
32. იმ შემთხვევაში, თუ მემორანდუმის ნებისმიერი დებულება გახდება ბათილი ან ძალადაკარგული, ეს არ იქონიებს გავლენას მემორანდუმის სხვა დებულებებზე.
33. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა ვალდებულებების სრულად ამოწურვამდე.
34. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე ექვს თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობა



ილია ელოშვილი

შპს „ჰიდროლეა“

რადოსლავ ცვეტანოვ დუდოლენსკი

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“

ვახტანგ ამბოკაძე





სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

სულხან ზუმბურდიძე

სს „გაერთიანებული ენერჯეტიკული სისტემა საქრუსენერგო“

რომეო მიქაუტაძე



შპს „ენერგოტრანსი“

კახა სეხნიაშვილი


Handwritten signature and scribbles at the bottom left of the page.

Handwritten initials or signature at the bottom right of the page.

დანართი N1

ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრები

დასახელება	ადგილმდებარეობა	მდინარის ნიშნულები მეტრი ზღვის დონიდან		წლიური გამომუშავება	სიმძლავრე
თბილისიჰესი	თბილისი, ქვ. ფონიჭალის დასახლება, მდ. მტკვარი	365	349	113 მლნ. კვტ. სთ	20,2 მგვტ



დანართი N2


ელექტროსადგურის დასახელება:	მემორანდუმის ხელმოწერიდან 6 თვეში	მემორანდუმის ხელმოწერიდან 12 თვეში	მემორანდუმის ხელმოწერიდან 18 თვეში	მემორანდუმის ხელმოწერიდან 24 თვეში
ადგილმდებარეობისა და ძირითადი პარამეტრების განმარტებები	<input checked="" type="checkbox"/>			
ტოპოგრაფიული კვლევა და რუკების მომზადება	<input checked="" type="checkbox"/>			
გეოლოგია, გეოფიზიკა		<input checked="" type="checkbox"/>		
სეისმური რისკის ანალიზი		<input checked="" type="checkbox"/>		
სამშენებლო მასალების კვლევა			<input checked="" type="checkbox"/>	
მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური კვლევები	<input checked="" type="checkbox"/>			
ჰიდრაულიკური კვლევები			<input checked="" type="checkbox"/>	
ალტერნატიული ანალიზი			<input checked="" type="checkbox"/>	
ტექნიკური დიზაინი				<input checked="" type="checkbox"/>
ინფრასტრუქტურა				<input checked="" type="checkbox"/>
ელექტროენერჯის გენერაცია და გამოყენება			<input checked="" type="checkbox"/>	
ქსელთან მიერთება და გადამცემი ხაზი		<input checked="" type="checkbox"/>		
ეკოლოგია			<input checked="" type="checkbox"/>	
სამუშაოების მოცულობის უწყისი				<input checked="" type="checkbox"/>
მშენებლობის ორგანიზირება				<input checked="" type="checkbox"/>
ეკონომიკური ანალიზი				<input checked="" type="checkbox"/>
ფინანსური ანალიზი				<input checked="" type="checkbox"/>
შესყიდვების დაგეგმვა და განხორციელების გეგმა				<input checked="" type="checkbox"/>
სამუშაო ძალის დატრენინგების გრაფიკი				<input checked="" type="checkbox"/>
ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის წარდგენა				<input checked="" type="checkbox"/>
პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების ადგილმდებარეობის დადგენა და განსაზღვრა		<input checked="" type="checkbox"/>		
პროექტის განხორციელების თაობაზე მთავრობისათვის წინადადების წარდგენა				<input checked="" type="checkbox"/>



დანართი N3

სამშენებლო ფაზის გრაფიკი

ელექტროსადგურის დასახელება: თბილისი-3ესი	თვეების რაოდენობა მემორანდუმის ხელმოწერის დღიდან
მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყება	24 თვე
ექსპლუატაციაში მიღება	48 თვე



დანართი N4

ფინანსური მოდელი

*Handwritten signature and scribbles at the bottom of the page.*

დანართი N5

შეთანხმება ტარიფის უცვლელად დატოვების თაობაზე

ქ. თბილისი

\_\_\_/\_\_\_ 2016

საქართველოს მთავრობა (შემდგომში: „მთავრობა“) წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის ილია ელოშვილის მიერ,

სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში: „ესკო“), ს/კ: 205170036, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, ვახტანგ ამბოკაძის მიერ;

და

შპს „ჰიდროლეა“ (შემდგომში - „კომპანია“), ს/კ: 406073029 წარმოდგენილი დირექტორის რადოსლავ ცვეტანოვ დუდოლენსკი (ბულგარეთის მოქალაქე, დაბადების თარიღი: 1976 წლის 5 ივლისი; პასპორტის ნომერი: P BGR 382462942, პ/ნ 7607059303) მიერ;

ვინაიდან, მემორანდუმის 14.4. პუნქტის შესაბამისად, კომპანიამ სამინისტროს წარუდგინა აუდიტორული დასკვნა მემორანდუმით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

ვინაიდან, მემორანდუმის მე-10 მუხლის შესაბამისად, ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ, აუდიტორული დასკვნის თანახმად დადგენილი დადასტურებული საინვესტიციო ხარჯის ოდენობის სამინისტროს მიერ ფინანსურ მოდელში ასახვის შედეგად მიღებული ტარიფის ოდენობა არის მემორანდუმის მე-9 მუხლში მითითებული ტარიფის ოდენობის [ტოლი/მეტი];

ვინაიდან, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში მემორანდუმის მე-9 მუხლში მითითებული ტარიფი არ ექვემდებარება ცვლილებას;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე შეთანხმების მხარეები ვთანხმდებით, რომ მემორანდუმის მე-9 მუხლი დარჩეს უცვლელი.

საქართველოს მთავრობა

\_\_\_\_\_

ილია ელოშვილი

შპს „ჰიდროლეა“

\_\_\_\_\_

რადოსლავ ცვეტანოვ დუდოლენსკი

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“

---

ვახტანგ ამბოკაძე

დანართი N6

შეთანხმება ტარიფის შემცირების თაობაზე

ქ. თბილისი

\_\_\_/\_\_\_/2016

საქართველოს მთავრობა (შემდგომში: „მთავრობა“) წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის, ილია ელოშვილის მიერ,

სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში: „ესკო“), ს/კ: 205170036, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, ვახტანგ ამბოკაძის მიერ;

და

შპს „ჰიდროლეა“ (შემდგომში - „კომპანია“), ს/კ: 406073029 წარმოდგენილი დირექტორის რადოსლავ ცვეტანოვ დუდოლოენსკი (ბულგარეთის მოქალაქე, დაბადების თარიღი: 1976 წლის 5 ივლისი; პასპორტის ნომერი: P BGR 382462942, პ/ნ 7607059303) მიერ;

ვინაიდან, მემორანდუმის 14.4. პუნქტის შესაბამისად კომპანიამ სამინისტროს წარუდგინა აუდიტორული დასკვნა მემორანდუმით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

ვინაიდან, მემორანდუმის მე-11 მუხლის შესაბამისად, ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ, აუდიტორული დასკვნის თანახმად დადგენილი დადასტურებული საინვესტიციო ხარჯის ოდენობის სამინისტროს მიერ ფინანსურ მოდელში ასახვის შედეგად მიღებული ტარიფის ოდენობა არის მემორანდუმის მე-9 მუხლში მითითებული ტარიფის ოდენობაზე ნაკლები;

ვინაიდან, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში „ესკოსთვის“ მისაყიდი ელექტროენერჯის ტარიფი ექვემდებარება შემცირებას და საწყისი ექსპლუატაციის პერიოდში ტარიფი განისაზღვრება ფინანსურ მოდელში დადასტურებული საინვესტიციო ხარჯის ასახვის შედეგად მიღებული ოდენობით;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე შეთანხმების მხარეები ვთანხმდებით, რომ მემორანდუმის მე-9 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. „9. საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის ყოველი წლის ზამთრის თვეებში, ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის რეალიზაცია უნდა განახორციელდეს ექსკლუზიურად „ესკოზე“ ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად, მიღების პუნქტში ტარიფით [ოდენობა (ოდენობა სიტყვიერად)] აშშ ცენტი - 1 კვტ.სთ. კომპანიამ და „ესკომ“ მემორანდუმის

პირობების შესაბამისად ხელი უნდა მოაწერონ ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებას.“

საქართველოს მთავრობა

---

ილია ელოშვილი

შპს „ჰიდროლენა“

---


რადოსლავ ცვეტანოვ დუდოლენსკი

სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“

---

ვახტანგ ამბოკაძე

7678



## საქართველოს მთავრობის განკარგულება


№2002 2016 წლის 30 სექტემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, შპს „ჰიდროლექს“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოსა“ და შპს „ენერგოტრანსს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, შპს „ჰიდროლექს“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოსა“ და შპს „ენერგოტრანსს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმი.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ურთიერთგაგების მემორანდუმს, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკული სისტემების კომპანია ილია ელოშვილმა.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვირიკაშვილი



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010134703551716

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ. 24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36, ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge  
24 a. Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№6046

11 / სექტემბერი / 2016 წ.

საქართველოს ენერჯეტიკის  
მინისტრის მოადგილეს,  
ბატონ ირაკლი ხმალამეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2016 წლის 06 სექტემბრის №04/3611 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, შპს „ჯორჯიან ჰაიდრო ელერს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“, სს „გაერთიანებული ენერჯეტიკული სისტემა საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსს“ და სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებით შემდეგს:

1. მემორანდუმის პროექტის 1.12 მუხლი ადგებს, რომ „მხარეები“ ნიშნავს მთავრობას, კომპანიას და „ესკო“-ს ერთობლივად. შევნიშნავთ, რომ მემორანდუმის პროექტის პრეამბულაში ამ ტერმინით აღნიშნულია მემორანდუმის ყველა მხარე ერთობლიობაში. შესაბამისად, ხსენებული მუხლი და მემორანდუმის პროექტის პრეამბულა საჭიროებს ურთიერთშესაბამისობაში მოყვანას.

2. მემორანდუმის პროექტის 1.14 მუხლის თანახმად, „საინვესტიციო ხარჯი“ ნიშნავს კომპანიის მიერ მემორანდუმის შეწყვეტამდე პროექტის განხორციელებისათვის გაწეულ ხარჯს. მიზანშეწონილია, მუხლის ფარგლებში, ასევე, დაკონკრეტდეს „საინვესტიციო ხარჯის“ ფარგლებში გაწეული ხარჯის ათვლის წერტილი.

3. მემორანდუმის პროექტის ფარგლებში არ არის დარეგულირებული მისი მოქმედების ვადა. იმის გათვალისწინებით, რომ მემორანდუმის პროექტის მე-14 მუხლი ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის ვალდებულებებს, მათი უვადო ვალდებულებებზე ჩამოყალიბება საჭიროებს დამატებით განხილვას და გადაწყვეტას მიზანშეწონილობიდან გამომდინარე. ამასთან, მემორანდუმის ფარგლებში საქართველოს მთავრობის ყველაზე ხანგრძლივ ვალდებულებას წარმოადგენს კომპანიისგან ელექტროენერჯის შეტენა სადგურის ოპერირების დაწყებიდან 10 წლის განმავლობაში. აღნიშნული ვალდებულების შესრულების შემდეგ მემორანდუმის არსებობა საქართველოს მთავრობისთვის მოკლებულია ლოგიკურ საფუძველს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, მემორანდუმის მოქმედების მარეგულირებელ 29-ე მუხლში მემორანდუმის მოქმედების ვადად განისაზღვროს მემორანდუმის 1.18 მუხლით დადგენილი „საწყისი ექსპლუატაციის პერიოდი“ ამოწურვის ვადა.

აქვე შევნიშნავთ, რომ, მემორანდუმის მოქმედების ვადის შესაბამისად, მიზანშეწონილია, დაკონკრეტდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადაც.



4. მემორანდუმის პროექტის მე-16 მუხლი ადგენს შთაფრთხის მიერ მემორანდუმის შეწყვეტის შედეგებს. შევნიშნავთ, რომ მომავალში 16.1-16.3 მუხლების შესრულებასთან დაკავშირებული ზუნდოვანების თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილია, დაკონკრეტდეს შეთანხმებული შედეგების დადგომის ვადები.

5. მემორანდუმის პროექტი შეიცავს რამდენიმე ტექნიკური ხასიათის ხარვეზს, კერძოდ: ა) მემორანდუმის პროექტის ფარგლებში არ არის დარეგულირებული აპრილსა და სექტემბერში გამომუშავებულ ელექტროენერჯიასთან დაკავშირებული საკითხები; ბ) 15.2 მუხლის მეორე წინადადება უნდა ჩამოყალიბდეს 15.3 მუხლად და მომდევნო მუხლები გადაინომროს შესაბამისად.

პატივისცემით,

**ზ. დავიძიანიძე**

მინისტრის მოადგილე

გოჩა ლორთქიფანიძე



ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი  
Electricity Market Operator

საქართველო, თბილისი, 0114, ბარათაშვილის ქ. 2  
ტელეფონი: 2401420; ფაქსი: 2601915

2 Baratashvili Str., 0114 Tbilisi, Georgia  
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915

N 01/1065  
12/09/2016

1065-01-2-201609121220



საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის

მოადგილეს ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2016 წლის 06 სექტემბრის #04/3610 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ბაზრის ოპერატორმა კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში განიხილა საქართველოს მთავრობას, შპს „ჯორჯიან ჰაიდრო ფაუნდს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი (ბაზვი 2 ჰესი) და მოგახსენებთ, რომ ვეთანხმებით წარმოდგენილ დოკუმენტს ქვემოთ მოცემული შენიშვნის გათვალისწინებით.

მიგვაჩნია, რომ მე-11 მუხლის მე-3 წინადადება უნდა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თუ ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის ყოველი წლის ზამთრის პირველ თვეებში ელექტროენერგიის წლიური საპროგნოზო რაოდენობის 20%-ზე ნაკლებია (შესაბამისი წლის 1 იანვარს მოქმედი ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსის შესაბამისად), მაშინ სხვაობა ფაქტობრივ გამომუშავებასა და ელექტროენერგიის

OFFICE@ESCO.GE • WWW.ESCO.GE


სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“  
რეგისტრირებულია ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 07.08.2006; სიბი.კოდი 205170036

ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATOR JSC  
Registered by Tbilisi Tax Inspectorate on 07.08.2006; ID CODE 205170036

წლიურ საპროგნოზო რაოდენობის 20%-ს შორის მიეწოდება ესკო-ს ზამთრის შემდგომ თვეებში ან სხვა თვეებში, რომელსაც განსაზღვრავს ესკო“.

პატივისცემით,

ვახტანგ ამბოკაძე



გენერალური დირექტორი



საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა / Georgian State Electrosystem

საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის 2, Baratashvili str., Tbilisi 0105, Georgia; ტელ./ფაქსი/Tel/Fax: +995 322 983704; +995 322 510101



4649-09-2-201609231909

N 4649/09

23/09/2016

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ განიხილა თქვენი 22/09/2016წ. N04/3816 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, შპს „ჰიდროლენა“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებულ ენერჯეტიკულ სისტემა საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსა“ და სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები მემორანდუმის პროექტი.

წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ შენიშვნები არ გავაჩნია.

პატივისცემით,

სულხან ზუმბურიძე

მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე

რეაბილიტაციის მმართველი

[www.gse.com.ge](http://www.gse.com.ge)



# ენერგოტრანსი

საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის 2/ 2 Baratashvili str. Tbilisi 0105, Georgia ტელ./ფაქსი/tel./fax: +995(32)2510140

15/09/2016

N 529

529-01-2-201609151515



## საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს

თქვენი 2016 წლის 06 სექტემბრის #04/3610 წერილის პასუხად მოგახსენებთ, რომ შპს "ენერგოტრანსმა" განიხილა საქართველოს მთავრობას, შპს „ჯორჯიან ჰაიდრო ფაუნდს“ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგოს“, შპს ენერგიტრანსს და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გვაქვს.

პატივისცემით,  
კახა სეხნიაშვილი


დირექტორი

საქრუსენერგო

სს ბაჰათიანაძის ენერჯეტიკული სისტემა

SAKRUSENERGO

JSC UNITED ENERGY SYSTEM



N 05/757  
08/09/2016

757-05-2-201609081557



საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს

განვიხილეთ საქართველოს მთავრობას, შპს „ჯორჯიან ჰაიდრო ფაუნდს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გეს საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსსა“ და სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი დანართებთან ერთად, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გავაჩნია.

პატივისცემით,

რომეო მიქაუტაძე

გენერალური დირექტორი



**ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო  
(არაკომერციული) იურიდიული პირების  
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16128994, 19/09/2016 15:13:01

**სუბიექტი**

**საფირმო სახელწოდება:** შპს ჰიდროლეა

**სამართლებრივი ფორმა:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

**საიდენტიფიკაციო ნომერი:** 406073029

**რეგისტრაციის ნომერი,  
თარიღი:** 06/07/2012

**მარეგისტრირებული  
ორგანო:** სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

**იურიდიული მისამართი:** საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში,  
აბულაძის ქ., №34, ბინა №45

**დამატებითი ინფორმაცია:**

**ელ. ფოსტა:** info@hydrolea.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

**ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარობის პროცესის  
მიმდინარეობის შესახებ**

რეგისტრირებული არ არის

**ხელშეღწევანელობა/ნარმოშადგენლობა**

- დირექტორი - 7607059303, 382462942, , რადოსლავ ცვეტანოვ დუდოლენსკი, ბულგარეთი

**პარტნიორები**

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
202089633, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ქროსქანთრი კაპიტალ ი.ეი.დი, ბულგარეთი, , ,	62.250000000%	
35001015836, იოსებ ნატროშვილი	37.750000000%	

---

**ვალდებულება**

რეგისტრირებული არ არის

---

**გირავნობა**

რეგისტრირებული არ არის

---

**ყადალა/აკრძალვა**

რეგისტრირებული არ არის

**საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება**

რეგისტრირებული არ არის

**მოდრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება**

- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R13001012 20/05/2013**  
**კრედიტორი : სს საქართველოს ბანკი (საქართველო) 204378869**  
**მესაკუთრე : შპს ჰიდროლუა (საქართველო) 406073029**  
საგანი: არამატერიალური ქონებრივი სიკეთე : 14%-იანი წილი შებენიერი  
პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, საფირმო სახელწოდება: შპს გეოენერჯი;  
საიდენტიფიკაციო კოდი: **406062353**  
საფუძველი: გირავნობის ხელშეკრულება, CAP000003219, ნოტარიუსი ირმა შარვაძე, **121283253, 30.11.2012**  
წილის ნასყიდობის ხელშეკრულება, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, **16.05.2013**
- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R14001356 15/01/2014 17:43:24**  
**კრედიტორი : სს საქართველოს ბანკი (საქართველო) 204378869**  
**მესაკუთრე : შპს ჰიდროლუა (საქართველო) 406073029**  
საგანი: არამატერიალური ქონებრივი სიკეთე : 64%-იანი წილი შებენიერი  
პასუხისმგებლობის საზოგადოებაში საფირმო სახელწოდებით: შპს გეოენერჯი,  
საიდენტიფიკაციო კოდი: **406062353**  
საფუძველი: გირავნობის ხელშეკრულება, 45204-გ, ნოტარიუსი ირმა შარვაძე, **140017938, 10.01.2014**
- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R15015266 20/03/2015 17:40:57**  
**კრედიტორი : სს საქართველოს ბანკი (საქართველო) 204378869**



**მესაკუთრე : შპს ჰიდროლუა (საქართველო) 406073029**

**საგანი: არამატერიალური ქონებრივი სიკეთე : 100% წილი შპს ჰიდრო ჯორჯიას (ს/ნ 404943941) კაპიტალში**

**საფუძველი: გირავნობის ხელშეკრულება, CAP000093899, ნოტარიუსი ირმა შარვაძე, 150267829, 19.03.2015**

- **გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: R15035202 12/08/2015 15:48:05**  
**კრედიტორი : სს საქართველოს ბანკი (საქართველო) 204378869**

**მესაკუთრე : შპს ჰიდროლუა (საქართველო) 406073029**

**საგანი: არამატერიალური ქონებრივი სიკეთე : 30%-იანი წილი შემზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, საფირმო სახელწოდება: შპს გეოენერჯი; საიდენტიფიკაციო კოდი: 406062353**

**საფუძველი: გირავნობის ხელშეკრულება, 45204-დ, ნოტარიუსი ირმა შარვაძე, 140023502, 13.01.2014**

**კრების ოქში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, B15163002, 11.08.2015**

#### **მოვალეთა რეესტრი**

რეგისტრირებული არ არის

- 
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
  - ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge), ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის ხასლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
  - ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შევსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
  - კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
  - საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
  - თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)